ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4112468

ნომერი: AR1619211

თარიღი : 27.07.2018

გაცემის თარიღი : 09.08.2018

გაცნობის თარიღი : 09.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ სანდუხაძე პ/ნ 01004005606
- ლიბანის 7, ბინა 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 29 ივნისის №4044146 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის

27 ივლისს №AR1619211 განცხადებით მომართა ნოდარ სანდუხაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 29 ივნისის №4044146 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 29 ივნისის №4044146 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა, №9 არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.11.05.029.302), მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი სექტორი 2, ბლოკი ,,ბ''-ს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 29 ივნისიდან 2018 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 29 ივნისის №4044146 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 12474.9 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 12514.1 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 1821.4 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1856.6 კვ.მ, კომერციული ფართობი: 844.3 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 815.1 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 2409.5 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 2364.9 კვ.მ, შესაბამისად, საერთო ფართობი 18427.4-ის ნაცვლად უნდა იყოს 18428.0 კვ.მ. ასევე წარმოდგენილია შესაბამისი გეგმებიც.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები და გეგმები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 29 ივნისის №4044146 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი - 12514.1 კვ.მ, საზაფხულო ფართობი - 1856.6 კვ.მ, კომერციული ფართობი - 815.1 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 2364.9 კვ.მ, საერთო ფართობი - 18428.0 კვ.მ. აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები, გარდა ავტოსადგომების სქემისა, ჩანაცვლდეს 2018 წლის 27 ივლისის NAR1619211 განცხადებაზე, 2018 წლის 08 აგვისტოს, შეტყობინებით წარმოდგენილი გეგმებით. სამსახურის 2018 წლის 29 ივნისის №4044146 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 29 ივნისის №4044146 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.